



აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

ქართული ენისა და ზოგადი ენათმეცნიერების დეპარტამენტი

სამაგისტრო პროგრამა:  
ქართველური ენათმეცნიერება

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამული მიმართულება:  
ჰუმანიტარული

მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი:  
ჰუმანიტარული მეცნიერებების მაგისტრი ქართველურ ენათმეცნიერებაში

პროგრამის მოცულობა:  
120 ECTS კრედიტი (4 სემესტრი)

პროგრამის ხელმძღვანელი: სრული პროფესორი ტარიელ ფუტყარაძე  
ასოცირებული პროფესორი მერაბ ნაჭყებია

საკონტაქტო ინფორმაცია: ტელეფონი: 4-57-82, 87717811, 899585423

E-mail: [putkaradze@hotmail.com](mailto:putkaradze@hotmail.com); [n-son@posta.ge](mailto:n-son@posta.ge)

ქუთაისი  
2008

## 1. პროგრამის მიზნები და ამოცანები

მსოფლიოს უძველეს ენებს შორისაა იბერიულ-კავკასიურ ენათა ოჯახის ენები (ქართველური, აფხაზურ-ადიღურის, დაღესტნური და ჩეჩნურ-ინგუშური); ამათგან თხუთმეტსაუკუნოვანი წერილობითი ტრადიცია აქვს მხოლოდ ქართულ სამწიგნობრო ენას; შესამაბისად, მრავალსაუკუნოვანი ქართული სამწიგნობრო ენისა და სხვა ქართველური ენობრივი ერთეულების ბუნების შესწავლას დიდი ზოგადენათმეცნიერული მნიშვნელობა აქვს. გარდა ამისა, რამდენადაც ქართული სამწიგნობრო ენა საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ენაა, საქართველოს სახელმწიფოებრივი ღირსების საკითხია: ერთი მხრივ, ქართული ენის საფუძვლიანი მეცნიერული შესწავლა, გასაგებად და მარტივად ჩამოყალიბებული ენობრივი წესების/ნორმების საფუძვლიანი სწავლება, მეორე მხრივ კი, სამწიგნობრო ენის ლექსიკის გამრავალფეროვნება ქართველური დიალექტური მასალით, საკუთარი სიტყვაწარმოებითი საშუალებებით და დახლვევა ბარბარიზმებით დამძიმებისაგან.

სამაგისტრო პროგრამის წარმოდგენილი ვარიანტი ითვალისწინებს, მაგისტრანტმა საფუძვლიანად შეისწავლოს:

1. საერთოქართველურ და არქაულ სამწიგნობრო ენობრივ სისტემასთან ქართველური ტერიტორიული კილოების (მეგრულ-ჭანურის, სვანურის, ფხოურის...) მიმართება;
2. ქართული სამწიგნობრო ენის ისტორია და თანამედროვე სახე;
3. ქართული ანბანისა და არქაული ქართული ფონემების მიმართება;
4. სხვადასხვა ავტორის ხედვის გათვალისწინებით: ქართველური (სამწიგნობრო ენისა და ქართველური კილოების) ფონემატური სტრუქტურა, სახელური და ზმნური პარადიგმები, ქართველური სინტაგმა და ისტორიული ლექსიკა;
5. რომელიმე ქართველური კილოური ჯგუფები (მეგრულ-ჭანური, სვანური, ფხოური, ჰერული, მესხური, რაჭული, ფერეიდნული, ჩვენებურების ქართული და ცენტრალური კილოები);
6. ქართველური ქვესისტემების ლექსიკა, როგორც ქართული სამწიგნობრო ენის მარაგი;
7. ქართული სალიტერატურო ენის ნორმებისა და ნორმალიზაციის თეორიული კურსი, ისტორია...

შესაბამისად, სამაგისტრო პროგრამა მაგისტრანტს სთავაზობს, შეისწავლოს და თავად გააანალიზოს თანამედროვე აკადემიური მეცნიერული შეხედულებები ქართველური ენობრივი სამყაროს შესახებ.

პროგრამის უპირველესი ამოცანაა, მაგისტრანტმა საფუძვლიანად შეისწავლოს ქართული სამწიგნობრო ენის ისტორია, ქართველური ფონეტიკა, მორფოლოგია, სინტაქსი, ლექსიკა და ქართველთა ენობრივი ხედვა-აღქმის ზოგადი სისტემა (ქართველთა ენობრივი აზროვნება).

**შედეგი.** სამაგისტრო პროგრამის გავლის პროცესში მაგისტრანტი გაიღრმავებს ბაკალავრიატში მიღებულ ცოდნას იმ დონეზე, რომ პროგრამის დამთავრების შემდეგ მას შეეძლება ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში ასწავლოს ქართული სამწიგნობრო ენა და, რაც მთავარია, მას ექნება ცოდნა და ჩვევები, დიასისტემური მეთოდით პროფესიონალურად იკვლიოს ყველა ქართვე-

ლური ენობრივი ერთეულის ფონემატურ-მორფოლოგიურ-სინტაქსური სტრუქტურები და ლექსიკა. პროგრამის სრული კურსის გავლის შემდეგ მაგისტრანტს შეეძლება მიღებული ცოდნისა და კვლევის უნარის გამოყენება ქართველოლოგიის სხვა დარგებსა და ენათმეცნიერების სხვა სფეროებში; ექნება ცოდნის ინტრეგრირებისა და უცნობ სიტუაციებში პრობლემის გადაჭრის უნარი; შეეძლება თავისი აზრის მკაფიოდ წარმოდგენა და დასაბუთება საჯარო პაექრობის დროს; შეძლებს თავისი აზრი გაგებინოს არასპეციალისტებს; ექნება საკმარისი ცოდნა, სწავლა გააგრძელოს დოქტურანტურაში ქართველოლოგიის ან ენათმეცნიერების მიმართულებით.

სამაგისტრო შრომის დაცვის შემდეგ მაგისტრანტი სრულფასოვნად იქნება მომზადებული ლინგვისტიკის, ქართველოლოგიისა და ფილოლოგიის დარგების დოქტორანტურისათვის; აგრეთვე, ექნება საკმარისი კვალიფიკაცია ქართული ენა და ლიტერატურა ასწავლოს ზოგადსაგანმანათლებლო სასწავლო დაწესებულებებში.

პროგრამის საბოლოო შედეგი: ქართველური ენათმეცნიერების სპეციალობით ჰუმანიტარულ/ფილოლოგიურ მეცნიერებათა დარგის ისეთი მაგისტრის მომზადება, რომელიც მზად იქნება ევროპული სივრცის დოქტურანტურისათვის ქართველოლოგია-კავკასიოლოგიასა და ენათმეცნიერებაში.

## 2. კურსდამთავრებულთა დასაქმება

მაგისტრის ხარისხის მქონე სპეციალისტს: შეეძლება, იმუშაოს:

უმაღლეს სასწავლებლებსა და სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებში მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობაზე, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში ქართული ენის (და ლიტერატურის) მასწავლებლად, ქართული ენის სტილისტ-რედაქტორის თანამდებობაზე გამომცემლობაში, რედაქციასა და სხვა მსგავს დაწესებულებაში; შეეძლება, გააგრძელოს სწავლა დოქტურანტურაში: ქართველურ-კავკასიური ენების, ქართველოლოგია-კავკასიოლოგიის, შედარებითი ენათმეცნიერების, სოციოლინგვისტიკის, კულტუროლოგიის და მეცნიერების სხვა მომიჯნავე სპეციალობით.

## 3. სამაგისტრო პროგრამის სტრუქტურა

№	დისციპლინის დასახელება	ბაზოცდა	სააუდიტორიო მუშაობა							საათების განაწილება კურსებისა სემესტრების მიხედვით კვირ-ის შარბლებაში		შენიშვნა			
			სთ. სულ	ლექცია	პრაქტიკული	კრედიტების რაოდენობა სემესტ. მიხ.				სულ	I კურსი		II კურსი		
						I	II	III	IV		I		II	III	IV
<b>სავალდებულო საბნები</b>															
<b>საერთო საბნები სამიწმ მოღულისთვის</b>															
1	ქართული სალიტერატურო	+	48	24	24	10				10	4				

	ენის ფონემათა პარადიგმატული ანალიზი																	
2	ქართული სალიტერატურო ენის სახელისა და ზმნის ფორმაწარმოება	+	45	15	30		10			10			3					
3	ქართული დამწერლობისა და სასაწიგნობრო ენის ისტორია	+	24	12	12	5				5		2						
4	ქართული სამწიგნობრო ენის ნორმები	+	36	18	18			5		5				3				
5	ქართველური ისტორიული დიალექტოლოგიის ძირითადი პრობლემები	+	78	39	39		5	5		10			2	4				
	<b>I მოდული - ქართული სამწიგნობრო ენა</b>																	
1	ქართული სალიტერატურო ენის ფონემათა სინტაგმატური ანალიზი	+	60	30	30		10			10		4	4					
2	სახელური და ზმნური კატეგორიები	+	48	24	24	10				10		4						
3	ქართული ენის სინტაგმა; ქართული ენის წინადადების მოდელირება	+	36	18	18			5		5				3				
4	ქართული საეკლესიო მწერლობის ენა	+	30	15	15		5			5			2					
5	ქართული ტერმინოლოგიის ისტორიის საკითხები	+	36	18	18			5		5				3				
	<b>II მოდული - ქართველური დიალექტოლოგია</b>																	
1	საერთოქართველური ენისა და ქართველური დიალექტების ფონემატური სტრუქტურის სისტემური ანალიზი	+	36	18	18	5				5		3						
2	ქართველური დიალექტების სახელური და ზმნური პარადიგმების სისტემური ანალიზი	+	48	24	24	5				5		4						
3	ქართველური სინტაგმა	+	24	12	12			5		5				2				
4	სვანური კილოების პრაქტიკული კურსი	+	54	18	36		5	5		10			2	2				
5	მეგრულ-ჭანური კილოების პრაქტიკული კურსი	+	70	22	48		5	5		10			3	2				
	<b>III მოდული - ქართველური ლექსიკოლოგია</b>																	
1	ქართული ენის ლექსიკოლოგიის პრობლემური კურსი	+	93	63	30	5	10			15		4	3					
2	სიტყვაწარმოება და ფრაზეოლოგია	+	36	18	18	5				5		3						
3	ეტიმოლოგია და სემასიოლოგია	+	36	18	18			5		5				3				
4	ლექსიკოგრაფია	+	30	15	15		5			5			2					
5	ქართველური ონომასტიკა	+	36	18	18			5		5				3				
	<b>IV მოდული - საეკლესიო მწერლობის ენა</b>																	
1	ქართული საეკლესიო მწერლობის ენის ფონეტიკა	+	36	18	18	5				5								
2	ქართული საეკლესიო მწერლობის ენის პრობლემები (მორფოლოგია, სინტაქსი)	+	70	22	48		10	5		15								
3	საეკლესიო მწერლობის ლექსიკა	+	36	18	18	5				5								
4	ქართველთა მწიგნობრული კულტურა	+	30	15	15		5			5								

5	ძველი ქართული ტექსტის ლინგვისტური ანალიზი (თარგმანების ენა)	+	36	18	18			5	5					
<b>არჩევითი საბნები სამივმ მოღუწისთვის</b>														
1	ქართველოლოგიის ძირითადი პრობლემები (ლინგვისტური, ეთნოლოგიური, არქეოლოგიური, ანთროპოლოგიური... ლიტერატურის მიმოხილვა)	+	24	12	12	5			5	2				
2	სიტყვაწარმოებისა და სახელდების პრინციპები ქართველურ ქვესიტემებში													
3	შედარებითი ენათმეცნიერება													
4	იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების შესავალი													
5	ერთი იბერიულ-კავკასიური ენა													
6	ერთი ინდოევროპული ენა	+	30	15	15			5	5	2				
7	ერთი აღმოსავლური ენა								5					
8	თანამედროვე სინტაქსური თეორიები								5					
9	თავისებურ ქართულ ზმნათა პარადიგმები													
10	მესხური კილოების პრა- ქტიკული კურსი	+	24	12	12				5		2			
11	საქართველოს გარეთ არსებული ქართველური კილოების პრაქტიკული კურსი													
12	ფხოური კილოების პრა- ქტიკული კურსი													
13	ჰერული კილოების პრაქტიკული კურსი													
14	სასულიერო მწერლობის პრობლემები													
15	ქართული სალიტერატურო ენის ნორმალიზაციის ისტორია													
16	ქართული პალეოგრაფია													
17	ხელნაწერთმცოდნეობა													
18	არქეოლოგია და წერილობითი ძეგლები													
19	სასულიერო მწერლობის პრობლემები (V-XXI საუკუნეები)													
14	განათლების ისტორია	+	24	16	8	5			5	2				
15	განათლების ფსიქოლოგია	+	12	8	4	5			5	1				
16	განათლების პედაგოგიური ტექნოლოგიები	+	15	10	5		5		5		1			
17	პედაგოგიკის კვლევის მეთოდოლოგია	+	15	10	5		5		5		1			
	საკურსო შრომა						5		5					
	პროფესიული პრაქტიკა							5	5					
	სამაგისტრო შრომა								30	30				
						35	35	30	30	130	16	13	15	

#### 4. სტუდენტთა შეფასების სისტემა

სტუდენტთა მიღწევების შეფასება ხდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის №3 და 2009 წლის 21 სექტემბრის №785 ბრძანებებით განსაზღვრული შემდეგი პუნქტების გათვალისწინებით:

1. კრედიტის მიღება შესაძლებელია მხოლოდ სტუდენტის მიერ სილაბუსით დაგეგმილი სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ, რაც გამოიხატება მე-6 პუნქტის “ა” ქვეპუნქტით გათვალისწინებული ერთ-ერთი დადებითი შეფასებით.

2. დაუშვებელია სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების ერთჯერადად, მხოლოდ დასკვნითი გამოცდის საფუძველზე შეფასება. სტუდენტის გაწეული შრომის შეფასება გარკვეული შეფარდებით უნდა ითვალისწინებდეს:

ა) შუალედურ შეფასებას;

ბ) დასკვნითი გამოცდის შეფასებას.

3. სასწავლო კურსის მაქსიმალური შეფასება 100 ქულის ტოლია.

4. დასკვნითი გამოცდა არ უნდა შეფასდეს 40 ქულაზე მეტით.

5. დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს, რომელსაც შუალედური შეფასებისა და დასკვნითი გამოცდის მაქსიმალური ქულის გათვალისწინებით უგროვდება 51 ქულა.

6. შეფასების სისტემით დასაშვებია:

ა) ხუთი სახის დადებითი შეფასება:

ა.ა) (A) ფრიადი - მაქსიმალური შეფასების 91% და მეტი;

ა.ბ) (B) ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90%;

ა.გ) (C) კარგი - მაქსიმალური შეფასების 71-80%;

ა.დ) (D) დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61-70%;

ა. ე) (E) საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60%;

ბ) ორი სახის უარყოფითი შეფასება:

ბ.ა) (FX) ვერჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41-50%, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება.

ბ.ბ) (F) ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 40% და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

7. მე-6 პუნქტით გათვალისწინებული შეფასებების მიღება ხდება შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის შეფასების დაჯამების საფუძველზე.

8. სტუდენტს დამატებით გამოცდაზე გასვლის უფლება აქვს იმავე სემესტრში. დასკვნით და შესაბამის დამატებით გამოცდას შორის შუალედი უნდა იყოს არანაკლებ 10 დღისა.

სასწავლო კურსში სტუდენტის მიღწევების შეფასების დამატებითი კრიტერიუმები განისაზღვრება შესაბამისი სილაბუსით.